**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე**

**მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ი. ქ.-ი.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 02/12/2021

**საჩივრის რეგისტრაციის** №087/21

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ც. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ

**ადვოკატის წარმომადგენელი:** ლ. ჭ.

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ც. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 2 დეკემბერს ნოტარიუსმა ი. ქ.-ი.-მა საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ც. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა 2022 წლის 17 მარტს დისტანციურად გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. საჩივრის ავტორმა 2022 წლის 26 ოქტომბერს ეთიკის კომისიის აპარატთან სატელეფონო საუბრისას და ამავე დღეს ელ. ფოსტის დახმარებით გამოაგზავნა შეტყობინება, სადაც მიუთითა, რომ სურდა სხდომა გამართულიყო მისი მონაწილეობის გარეშე.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის არის ნოტარიუსი და მისი სანოტარო ბიურო მდებარეობს ქუთაისში, ბ.-ის N-ში, სადაც 2021 წლის 27 ნოემბერს მიმართეს მოქალაქეებმა, რომლებსაც სურდათ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის დამოწმება. გამოკითხვის შედეგად, გაირკვა, რომ მიმმართველთა ადვოკატი იყო ც. ბ.. მოქალაქეთა მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარით საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატ ც. ბ.-ს. ტელეფონი ჩართული იყო ხმამაღალ რეჟიმზე, რათა მოქალაქეებსაც მოესმინათ დიალოგი. ი. ქ.-მა ადვოკატს სთხოვა, რომ განცხადების ტექსტი თავად შეედგინა, რადგან საქმე ეხებოდა სისხლის სამართლის საქმეზე გირაოს უზრუნველსაყოფად უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას და მას, როგორც ადვოკატს ჰქონდა დეტალური ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე, რაც საჭირო იყო სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის. აგრეთვე, განუმარტა, რომ აღნიშნული ტექსტი გადაეგზავნა მისი კლიენტებისთვის, რის შემდგომაც დამოწმდებოდა მინდობილობა. შესასრულებელი სანოტარო მოქმედებისთვის გადასახდელი იყო საკმაოდ სოლიდური თანხა - 61 ლარი და შესაბამისად, ისე უნდა შესრულებულიყო სანოტარო მოქმედება, რომ ის გამოეყენებინათ მოქალაქეებს და მეორედ მიმართვა არ დასჭირვებოდათ. სისხლის სამართლის საქმის მონაცემების მითითების გარეშე კი აღნიშნული ვერ შესრულდებოდა. ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით ჰქონდა ადვოკატ ც. ბ.-ს და შესაბამისად, მასთან გასაუბრების მიზანსაც ზემოაღნიშნული გარემოება წარმოადგენდა. მომჩივანის განცხადებით, მან ც. ბ.-ს კორექტულად მიუთითა, რომ მის მიერ შედგენილი ტექსტი განმცხადებლისთვის ელექტრონულად მიეწოდებინა. აღნიშნულის შემდეგ, ადვოკატმა ც. ბ.-მა სატელეფონო საუბრისას დაიწყო ყვირილი, ი. ქ.-მა მიუთითა, რომ ხმისთვის დაეწია, რის შემდეგაც მას ადვოკატმა უწოდა „უზრდელი“ და გათიშა ტელეფონი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ვინაიდან, ტელეფონი ხმამაღალ რეჟიმზე იყო ჩართული ის დარწმუნებულია, რომ ოთახის გარეთ მყოფმა მოქალაქეებმა, რომლებიც მას ელოდებოდნენ გაიგონეს ც. ბ.-ის მიმართვა ი. ქ.-ისადმი, რამაც საფრთხე შეუქმნა მისი, როგორც ნოტარიუსის რეპუტაციას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ც. ბ.-მა მასთან სატელეფონო საუბრის შემდგომ, იმავე დღეს, საღამოს საათებში სოციალურ ქსელ „ფეისბუქ“ გვერდზე საჯაროდ გამოაქვეყნა შემდეგი ტექსტი: „ფსიქიატრს ვეძებ ნოტარიუს ი. ქ.-ისთვის, მირჩიეთ მეგობრებო კარგი ფსიქიატრი ...#ნოტარიუსთა პალატა“ (მოპასუხე ადვოკატმა აღნიშნულ „პოსტზე“ #-ით მონიშნა „ნოტარიუსთა პალატა“). ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს მოჰყვა მისი მეგობრების გამოხმაურება კომენტარების სახით, რაც შეიცავდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს საჩივრის ავტორის მისამართით. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ც. ბ.-მა ასევე საჯაროდ გამოაქვეყნა მეორე პოსტი შემდეგი ტექსტით: „მეგობრებო თუ ვინმეს გადაკვეთა ჰქონდა ნოტარიუს ი. ქ.-სთან და მოგსვლიათ უთანხმოება შემომეხმიანეთ პირადში“, რასაც ასევე ერთვოდა ი. ქ.-ის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები, რომელზეც ადვოკატს არ ჰქონია რეაგირება, არც კი უცდია მის გვერდზე ი. ქ.-ის შესახებ მითითებული შეურაცხმყოფელი ფრაზები წაეშალა ან აღნიშნულზე მიეთითებინა კომენტარების ავტორებისთვის. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ნ. მ.-მ ადვოკატ ც. ბ.-ს მიუთითა, რომ არ დაეწერა მსგავსი პოსტები, თუმცა მან საპასუხოდ მისწერა, რომ „თუ არ მოსწონდა, გვერდი აევლო“.

1.5 ი. ქ.-ის განცხადებით, მან ც. ბ.-ის მიერ მის მიმართ გამოხატული შეურაცხყოფის გამო მიმართა სასამართლოსაც, სადაც ლ. ჭ., როგორც ც. ბ.-ის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიით, როგორც მის მიმართ, აგრეთვე, მოწმე ქრისტინე კვინიკაძის მიმართ. კერძოდ, 2022 წლის 07 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ც. ბ.-ის

წარმომადგენელმა ლ. ჭ.-მ მოწმე ქ. კ.-ს მიმართა შემდეგი ფრაზებით: „დადუმდი“, „როგორი ნევროზიც ჭირს შენს ნოტარიუსს, იგივე გჭირს შენც“.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2021 წლის 14 დეკემბერს, ადვოკატ ც. ბ.-ის წარმომადგენელმა ლ. ჭ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ნოტარიუს ი. ქ.-ი.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2022 წლის 17 მარტს, ც. ბ.-ის წარმომადგენელი ლ. ჭ. დაესწრო საპროცესო კოლეგიის დისტანციურად გამართულ სხდომას, ხოლო 2022 წლის 27 ოქტომბერს განხილვის კოლეგიის დისტანციურად გამართულ სხდომას, სადაც დაადასტურა წერილობით განმარტებაში მითითებული გარემოებები.

2.2 ადვოკატ ც. ბ.-ის წარმომადგენლის - ლ. ჭ.-ის განმარტებით, ციცინო ბაბუნაშვილთან საადვოკატო ოფისში იყვნენ მოქალაქეები, რომელთაც სურდათ მინდობილობის გაფორმება, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ აღნიშნულ მოქმედებას ადვოკატი არ ახორციელებს და უნდა მიემართათ ნოტარიუსისთვის. აღნიშნულის შემდგომ, ადვოკატ ც. ბ.-ს დაუკავშირდა ნოტარიუსი ი. ქ., რომელმაც უთხრა, რომ „შენგან მოსული კლიენტები მოუწესრიგებლები მოდიანო...“. ადვოკატის განცხადებით, მინდობილობის შედგენილი ტექსტი ნოტარიუსთან არავის მიაქვს. ადვოკატის განცხადებით, ის ი. ქ.-სთან საუბრისას არ მოქმედებდა, როგორც ადვოკატი, „არ ეწეოდა საადვოკატო მომსახურებას“. ადვოკატს ნოტარიუსი ი. ქ. მასთან მისული პირებისთვის არ ურჩევია და ვინაიდან, ის დღე იყო არასამუშაო - შაბათი და ქალაქში მხოლოდ ი. ქ. მუშაობდა, ამიტომ მივიდნენ მასთან სანოტარო მოქმედების შესრულების თხოვნით.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საადვოკატო ოფისში კომპიუტერთან მუშაობაში, მათ შორის ბეჭდვაში, მას ეხმარება ა. ს.. ადვოკატის განმარტებით, ოფისში არსებულ კომპიუტერშიც ასახულია მისი სოციალური გვერდი „ფეისბუქი“ და შესაბამისად, მისი სახელით ნებისმიერი პირისაგან, რომელიც აღნიშნულ კომპიუტერთან მუშაობს, არის შესაძლებელი ტექსტის განთავსება. ადვოკატის განცხადებით, ნოტარიუს ი. ქ.-ის შესახებ განთავსებული ტექსტები გამოაქვეყნა ა. ს.-მა, რის გამოც უსაყვედურა და სთხოვა წაეშალა აღნიშნული პოსტი, თუმცა პოსტი არ წაშლილა.

2.4 ადვოკატის წარმომადგენლის ლ. ჭ.-ის განმარტებით, ქუთაისში ი. ქ. არის ერთადერთი ნოტარიუსი, რომელიც მოქალაქეების მიმართ „ნამდვილად გამოირჩევა უხეში, უზრდელი, არაეთიკური და არაწესიერი დამოკიდებულებით“. კერძოდ, უყვირის, ლანძღავს და არანორმალურად ექცევა ადამიანებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია არაერთი საჩივარი , რომელიც მის მიმართ წარდგენილი აქვთ მოქალაქეებს ნოტარიუსთა პალატაში, მათ შორის ლ. ჭ.-საც, რომელიც შემდგომ გაიხმო საერთო მეგობრის პატივისცემის ნიშნად. ადვოკატის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ც. ბ.-სა და ი. ქ.-ს შორის სატელეფონო საუბარს შეესწრო საადვოკატო ოფისში ყოფნისას, საუბარი ხმამაღალ რეჟიმზე იყო ჩართული და იქ მყოფმა სხვა პირებმაც გაიგონეს მათ შორის დიალოგი. კერძოდ, ოთახში იმყოფებოდნენ ა. ს., რ. ჭ., სოსო ქუთათელაძე, მარიამ ხვადაგიანი, ე. ბ.. ნოტარიუსმა ი. ქ.-მა სატელეფონო საუბრისას თავად მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა ადვოკატ ც. ბ.-ს და უთხრა: „ქალო, დაწერილი ტექსტი, რომ უნდა გამოატანო კლიენტს ამდენი არ იცი? ...“, „შენგან მოსულ კლიენტს ყველას ასე გამოუშვებ უკან და არ მოვემსახურები…“, „ქალო შენ რა ვერ გაიგე, დებილი ხო არ ხარ...“.

2.5 ადვოკატის წარმომადგენლის ლ. ჭ.-ის განმარტებით, მომჩივანის მიერ მითითებული პოსტები სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა არა ადვოკატმა ც. ბ.-მა, არამედ საადვოკატო ოფისის სხვა თანამშრომელმა - ა. ს.-მა, რომელიც არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. წარმომადგენლის განცხადებით, სამუშაო ოფისში ერთ-ერთ კომპიუტერში ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლის სოციალური ქსელის - „ფეისბუქის“ პირადი გვერდი და მათზე წვდომაზე ნებართვა ერთმანეთისგან აქვთ აღებული. წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატი ც. ბ. ი. ქ.-სთან ურთიერთობისას არ მოქმედებდა, როგორც ადვოკატი და მას ნოტარიუსისთვის არ გაუწევია  რაიმე სახის საადვოკატო მომსახურება. ამასთან, მოქალაქეები, რომლებმაც მიმართეს ც. ბ.-ს, იყვნენ მისი ახლობლები და არა კლიენტები, რომლებსაც „სურდათ საზღვარგარეთ წასვლა“ და ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ მინდობილობის გაფორმებისთვის უნდა მიემართათ ნოტარიუსისთვის. ადვოკატის წარმომადგენლის ლ. ჭ.-ის განმარტებით, ვინაიდან, ც. ბ.-სა და ი. ქ.-ის სატელეფონო საუბრის შემსწრე გახდა ა. ს., მან გადაწყვიტა განეთავსებინა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ე. წ. პოსტები ც. ბ.-ის პირადი გვერდიდან და მისი სახელით. წარმომადგენლის განმარტებით, ა. ს. საადვოკატო ოფისს ტექნიკური კუთხითაც ეხმარება, მათ შორის ც. ბ.-საც, რომელსაც უჭირს კომპიუტერთან მუშაობა და სჭირდება დახმარება კომპიუტერულ პროგრამებით სარგებლობისას. შესაბამისად, პოსტის განთავსების დღესაც ა. ს. მართავდა ც. ბ.-ის „ფეისბუქის“ პირად გვერდს და უშუალოდ ადვოკატის მიერ „ფეისბუქში“ პოსტი არ გამოქვეყნებულა.

2.6 საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ადვოკატმა ც. ბ.-მა 2022 წლის 7 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, წარმოადგინა მოწმე - ადვოკატი რ. ჭ. /სიითი N/. მოწმის განმარტებით, ის საადვოკატო ოფისში იმყოფებოდა სოსო ქუთათელაძესთან, ა. ს.-სთან და ადვოკატ ციცინო ბაბუნაშვილთან ერთად. რ. ჭ. ბეჭდავდა ც. ბ.-ის კარნახით ტექსტს, რა დროსაც მას დაურეკა ი. ქ.-მა, საუბარი ჩართული იყო ხმამაღალ რეჟიმზე. ი. ქ.-მა ც. ბ.-ს უთხრა, რომ მას მიმართეს მოქალაქეებმა, რომლებსაც სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაბეჭდილი სახით კონკრეტული ტექსტი უნდა მიეტანათ ნოტარიუსთან, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ იმ შემთხვევაში თუ საჭირო იყო ტექსტის შედგენა, თავად რატომ არ შეეძლო აღნიშნული შეესრულებინა, რაზეც ნოტარიუსისგან მოჰყვა შეურაცხმყოფელი პასუხი, უწოდა „უზრდელი, ტუტუცი“ და „ასე მოუწესრიგებელი თუ მივიდოდა ვინმე მასთან“ უარს ეტყოდა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე. ადვოკატმა ც. ბ.-მა „ვერ გაიგო, თუ რატომ ექცეოდა მის კლიენტებს ასე“.  რაც შეეხება სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ განთავსებულ პოსტს, როგორც მისთვის ცნობილია, აღნიშნული ა. ს.-მა განათავსა ციცინო ბაბუნაშვილთან შეთანხმების გარეშე. მოწმის განცხადებით, მას ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ა. ს.-ს უსაყვედურა პოსტის გამოქვეყნების თაობაზე. მოწმის განმარტებით, სამუშაო ოფისში ა. ს. პროგრამულ უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი, ის პიარ-მენეჯერის ფუნქციებსაც ითავსებს და მას თანამშრომლების სახელით შეუძლია განათავსოს ინფორმაცია, მათ შორის ფოტოსურათებიც, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოსტის განთავსება როგორ მოხდა ზუსტად არ იცის.

2.7 საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ადვოკატმა ც. ბ.-მა 2022 წლის 7 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, წარმოადგინა მოწმე -ა. ს.. მოწმის განცხადებით, ის იმყოფებოდა ადვოკატ ციცინო ბაბუნაშვილთან ერთად ოფისში, რა დროსაც მას დაუკავშირდა ი. ქ., საუბარი ჩართული იყო ხმამაღალ რეჟიმზე. ი. ქ.-მა ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისგან მისულ მოქალაქეებს სურდათ სანოტარო მოქმედების შესრულება, რისთვისაც ნაბეჭდი სახით ტექსტი უნდა მიეტანათ, რაც ადვოკატს გაუკვირდა, რადგან ეს ნოტარიუსს შეეძლო

გაეკეთებინა ან მასთან მყოფ თანამშრომელს. რის შემდეგაც, ი. ქ.-მა ც. ბ.-ს უწოდა „ტუტუცი“ და „გათახსირებული“, ასევე, მოახსენა, რომ „მისგან შემოსულ კლიენტებს არ მოემსახურებოდა“. მოწმის განმარტებით, ადვოკატთან მისული მოქალაქეები იყვნენ მისი ახლობლები და არა კლიენტები. რაც შეეხება, სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ საჯარო პოსტების გამოქვეყნებას, ის ადვოკატ ც. ბ.-ს არ დაუწერია. მოწმის განცხადებით, ი. ქ.-ის მიერ ც. ბ.-ისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო ძალიან გაბრაზდა და მან გადაწყვიტა ადვოკატ ც. ბ.-ის ნებართვის გარეშე, მისი სახელით სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოექვეყნებინა პოსტი. მოწმის განმარტებით, ის ც. ბ.-ის საადვოკატო ოფისში მუშაობს არამხოლოდ როგორც იურისტი და საქმეებზე ახორციელებს წარმომადგენლობას, არამედ უზრუნველყოფს ოფისში მდებარე კომპიუტერების გამართულობას და პროგრამულ უზრუნველყოფასაც ახორციელებს. შესაბამისად, მას ყველა თანამშრომლის „ფეისბუქ“ გვერდზე აქვს წვდომა. მოწმის განცხადებით, მან ც. ბ.-ის სახელით გამოქვეყნებული პოსტის ქვემოთ კომენტარის სახით მიუთითა, რომ ტექსტი მის მიერ იქნა გამოქვეყნებული. მოწმის განმარტებით, მისი სახელით პოსტების, მათ შორის ფოტოების გამოქვეყნება სოციალური ქსელის ადმინისტრაციის მიერ გარკვეული პერიოდი შეზღუდული ჰქონდა და საკუთარი სახელით აღნიშნული ტექსტის გამოქვეყნებას ვერ შეძლებდა. მოწმის განცხადებით, ადვოკატმა ც. ბ.-მა უთხრა, რომ ი. ქ.-ის შესახებ ტექსტის გამოქვეყნება „არ იყო სწორი საქციელი“ და მოსთხოვა პოსტის წაშლა, თუმცა მან განუცხადა, რომ არ წაშლიდა და ხელმეორედაც გააზიარებდა. მოწმის განცხადებით, ი. ქ. არის „ტუტუცი და გაუზრდელი“ ქალი და სამომავლოდაც ვისაც უნდა „იმას გამოლანძღავს“ და „ფეხებზე ჰკიდია ადვოკატთა ასოციაციაც, ნოტარიუსთა პალატაც და რასაც უნდა იმას გააკეთებს“.

2.8 საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ადვოკატმა ც. ბ.-მა 2022 წლის 7 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, წარმოადგინა მოწმე - ადვოკატი რ. ჭ. /სიითი N/. მოწმის განცხადებით, ის სადავო ფაქტს შეესწრო ადვოკატ ც. ბ.-ის საადვოკატო ოფისში ყოფნისას. ადვოკატი კომპიუტერთან მჯდომ რ. ჭ.-ს კარნახობდა ტექსტს, რა დროსაც ადვოკატ ც. ბ.-ს დაუკავშირდა ნოტარიუსი ი. ქ., საუბარი ხმამაღალ რეჟიმზე იყო ჩართული. ი. ქ.-მა ადვოკატს უთხრა, რომ მისგან მისული მოქალაქეები იყვნენ მასთან და მათ „მზა ტექსტი“ ნაბეჭდი სახით სჭირდებოდათ. აღნიშნულის შემდგომ, საუბრისას ი. ქ.-მა ადვოკატს უწოდა „ტუტუცი, მოუწესრიგებელი“ და განუცხადა, რომ „მისგან გაგზავნილ მოქალაქეებს არ მოემსახურებოდა“. მოწმის განმარტებით, ადვოკატ ც. ბ.-ისთვის გაუგებარი იყო ი. ქ.-ის გულისწყრომა, თუმცა ადვოკატს ნოტარიუსისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მოწმის განმარტებით, სადავო პოსტი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა არა ადვოკატმა ც. ბ.-მა, არამედ ა. ს.-მა.

2.9 2022 წლის 27 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატ ც. ბ.-ის წარმომადგენელმა ლ. ჭ.-მ განმარტა, რომ ი. ქ.-ი.-მა ადვოკატ ც. ბ.-ის წინააღმდეგ საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ადვოკატის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა, წვრილმან ხულიგნობაში. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 თებერვლის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა ნოტარიუს ი. ქ.-ი.-ის საჩივარი. აღნიშნული დადგენილება მომჩივანმა მხარემ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პოზიცია და 2022 წლის 13 აპრილს მიიღო დადგენილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ი. ქ.-ი.-ის საჩივარი და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 თებერვლის დადგენილება (საქმე N---). ც. ბ.-ის წარმომადგენელმა ლ. ჭ.-მ ყურადღება

გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სასამართლოში საქმისწარმოებისას ერთმნიშვნელოვნად არ დადგინდა, რომ პოსტი უშუალოდ ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ იყო გამოქვეყნებული.

**3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1 2022 წლის 17 მარტს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ც. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, ადვოკატის კეთილსინდისიერების, კარგი რეპუტაციისა და იურიდიული პროფესიის პატივისცემის; სასამართლოს და პროცესის მონაწილის უფლებების შელახვისაგან თავის არიდების ვალდებულებების დარღვევის ნაწილში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(ა); 3(დ) და 5 (გ)).

**II სამოტივაციო ნაწილი**

**4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 2021 წლის 27 ნოემბერს ნოტარიუს ი. ქ.-ი.-ს მიმართეს მოქალაქეებმა, რომლებმაც განუმარტეს, რომ სურდათ პირდაპირი ელ. კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის დამოწმება. მინდობილობის ტექსტის შესათანხმებლად ნოტარიუსი მოქალაქეებმა მობილურის საშუალებით დააკავშირეს ადვოკატ ც. ბ.-ს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა - განმარტება;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის დადგენილება (საქმე N---).

4.1.2 2021 წლის 27 ნოემბერს, სატელეფონო საუბრისას ადვოკატ ც. ბ.-სა და ნოტარიუს ი. ქ.-ი.-ს სატელეფონო საუბრისას მოუვიდათ უთანხმოება და სიტყვიერი დაპირისპირება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა - განმარტება;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის დადგენილება (საქმე N---).

4.1.3 ადვოკატ ც. ბ.-ის „ფეისბუქ“ გვერდიდან - „ციცი ბაბუნაშვილი“ 2021 წლის 27 ნოემბერს გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი: „ფსიქიატრს ვეძებ ნოტარიუს ი. ქ.-ისათვის, მირჩიეთ მეგობრებო კარგი ფსიქიატრი..... #ნოტარიუსთა პალატა“ და ტექსტი: „მეგობრებო თუ ვინმეს გადაკვეთა ჰქონდა ნოტარიუს ი. ქ.-სთან და მოგსვლიათ უთანხმოება შემომეხმიანეთ პირადში“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის დადგენილება (საქმე N---);
- 2022 წლის 17 იანვრის ფაქტების კონსტატაციის ოქმი.

4.1.4 გადაწყვეტილების 7.1.3 პუნქტში მითითებული პოსტის ქვეშ მოქალაქეები წერდნენ შეურაცხმყოფელ კომენტარებს ნოტარიუს ი. ქ.-ი.-ის მიმართ: „სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებელი „ნ. ტ.“: *„ჩამოვიდე დავტ*ნა გაჭიასავით?“; სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებელი „J. j.“: „მაგ ნოტარიუსს ქალბატონო ციცინო ა. ზ. უნდა გაუცოცხლო თუ არა სხვებმა ვერ დადეს შედეგი ქრონიკულშია“; ა. ს.: „მაგ ქალი მერამდენედ უნდა ვათრიოთ? კიდე ვერ ისწავლა ჭკუა? არარის ეგ ქალი ნორმალური!“; სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებელი ნ. გ.: „მაგ ყ**ქალა ძროხა. მაგას ჩავ**ვი პირში... სულ მუ**ლი ვუძახე რამდენჯერ. მძ**ერქალაა მაგ გო*ის გაგდებული. ვინც იამზეს იცავთ მოგ**ყანთ დედის მუ**ები ყველას“; სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებელი „ს. ნ. შ.“: „ეგ ყ**ქალა, უტაქტო და ნაგ**არი ქალი, რომელმაც მილიონჯერ მომიშალა ნერვები, მაგას დავ***ი მომიშალა ნერვები, მაგას და**ჯვი თავზე ეგ ნარკამანი ქალი, ეგ ყ*ე ეგ მუ**ლი და გო***ნათრევი...“.*

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

- *საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;*
- *ნოტარიუს ი. ქ.-ი.-ის მიერ წარმოდგენილი სქრინები;*
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის დადგენილება (საქმე N---);
- 2022 წლის 17 იანვრის ფაქტების კონსტატაციის ოქმი.

4.1.5 ადვოკატ ც. ბ.-ის „ფეისბუქ“ გვერდზე სადავო პოსტი გამოქვეყნებული იყო 2021 წლის 27 ნოემბრიდან 2022 წლის 17 იანვრის ჩათვლით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ც. ბ.-ის მოწმის - ა. ს.-ის 2022 წლის 7 აპრილის ახსნა-განმარტება;
- 2022 წლის 17 იანვრის ფაქტების კონსტატაციის ოქმი;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის დადგენილება (საქმე N---).

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:

4.2.1 განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ 2021 წლის 27 ნოემბერს ნოტარიუს ი. ქ. - ი.-თან სანოტარო მომსახურების მისაღებად მისული მოქალაქეებს ადვოკატი ც. ბ. უწევდა სამართლებრივ კონსულტაციას.

საჩივრის ავტორმა და მოპასუხე ადვოკატმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებები წარმოადგინეს. ც. ბ.-ის წარმომადგენლის - ლ. ჭ.-ისა და მოწმის - ა. ს.-ის განმარტებით, მართალია ეს პირები ც. ბ.-მა გააგზავნა ნოტარიუსთან, თუმცა ისინი იყვნენ არა ადვოკატის კლიენტები, არამედ მისი ახლობლები. ნოტარიუს ი. ქ.-ი.-ის განმარტებით, სანოტარო ბიუროში მისულმა მოქალაქეებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ისინი ნოტარიუსთან გააგზავნა ადვოკატმა და ის, მობილური ტელეფონის საშუალებით დააკავშირეს ადვოკატ ც. ბ.-ს, რის შემდეგაც მას გაუჩნდა წარმოდგენა, რომ აღნიშნული მოქალაქეები იყვნენ ადვოკატ ც. ბ.-ის კლიენტები. ადვოკატ ც. ბ.-ის წარმომადგენელმა ლ. ჭ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა 2022 წლის 13 აპრილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიის დადგენილება, რომლის მეორე გვერდზე მითითებულია: „სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ც. ბ.-ის განმარტებით, თავად იყო შეურაცხყოფილი, რადგან კლიენტი გაუშვა ნოტარიუსთან. მათთვის არ უთქვამს კონკრეტულად ი. ქ.-სთან მისულიყვნენ, რადგან არ იყო სასწრაფო, მხოლოდ სკაიპით გაკეთებული მინდობილობა სჭირდებოდათ. ყველა ნოტარიუსს აქვს შესაბამისი შაბლონი, მან დააბარა კლიენტს, რომ საჭირო იყო მინდობილობა და არა განცხადება....". განხილვის კოლეგიის შეფასებით, 2021 წლის 27 ნოემბერს ააიპ „ი. ა."-ში მისულ მოქალაქეებთან ც. ბ. ურთიერთობდა, როგორც ადვოკატი და საკუთარი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით მან სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია მასთან საადვოკატო მომსახურების მისაღებად მისულ მოქალაქეებს და საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად გადაამისამართა ნოტარიუსთან. ნოტარიუს ი. ქ.-ი. მისულმა მოქალაქეებმა ნოტარიუსს განუმარტეს, რომ მასთან მივიდნენ ადვოკატის რჩევის შესაბამისად და მინდობილობის ტექსტის შესათანხმებლად დააკავშირეს ადვოკატ ც. ბ.-ს. ობიექტური დამკვირვებლის თვალში, ც. ბ. აღიქმებოდა როგორც მოქალაქეთა ადვოკატი, რომელიც სამართლებრივ დახმარებასა და კონსულტაციას (თუნდაც ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზე, ანაზღაურების გარეშე) უწევდა ნოტარიუსთან გაგზავნილ მოქალაქეებს. ამავდროულად, საგულისხმოა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება, სადაც მითითებულია, რომ სასამართლო სხდომაზე ადვოკატი ც. ბ. აღნიშნულ მოქალაქეებს „კლიენტებს" უწოდებს. მომჩივანის ახსნა-განმარტებასა და სასამართლოს გადაწყვეტილების შეჯერების საფუძველზე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ 2021 წლის 27 ნოემბერს ნოტარიუს ი. ქ. - ი. სანოტარო მომსახურების მისაღებად მისულ მოქალაქეებს ადვოკატი ც. ბ. უწევდა სამართლებრივ კონსულტაციას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის დადგენილება (საქმე N---).

4.2.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგინდა, რომ სადავო პოსტი გამოქვეყნებულია ადვოკატ ც. ბ.-ის კუთვნილ „ფეისბუქ" გვერდზე, თუმცა ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება, რომ პოსტი დაწერილი და გამოქვეყნებულია უშუალოდ ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ.

სადავო პოსტის ავტორთან დაკავშირებით, მხარეებმა ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებები წარმოადგინეს. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ პოსტი უშუალოდ ადვოკატ ც. ბ.-ის მიერაა გამოქვეყნებული, რასაც უარყოფს ადვოკატი და უთითებს, რომ პოსტი გამოქვეყნებულია მისი „ფეისბუქ" გვერდიდან, თუმცა პოსტის ავტორია მისი თანამშრომელი - ა. ს.. კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინს ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). შესაბამისად, სადავო ფაქტზე მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, რომელიც ამტკიცებს, რომ სადავო პოსტი უშუალოდ ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ, მისი დამცირების მიზნითაა გამოქვეყნებული და არა ადვოკატს, რომელიც უარყოფს მის მიერ სადავო პოსტის

ავტორობასა და პოსტის გამოქვეყნებას. ი. ქ. ი.-მა საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ახსნა - განმარტების გარდა წარმოადგინა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, 2022 წლის 17 იანვარს შედგენილი ფაქტების კონსტატაციის ოქმი, რაც ადასტურებს ადვოკატ ც. ბ.-ის კუთვნილ „ფეისბუქ“ გვერდზე სადავო პოსტისა და პოსტზე დართული შეურაცხმყოფელი კომენტარების არსებობას. თავის მხრივ, მოპასუხე ადვოკატმა დაადასტურა, რომ აღნიშნული პოსტი გამოქვეყნებული იყო მის კუთვნილ სოციალურ გვერდზე, თუმცა, განმარტა, რომ მის ფეისბუქ გვერდზე წვდომა მის თანამშრომლებსაც აქვთ და კონკრეტულად ეს პოსტი უშუალოდ მისი გამოქვეყნებული არ იყო. ასევე, მოპასუხე ადვოკატმა, საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას, 2022 წლის 7 აპრილს მოწმის სტატუსით წარმოადგინა მისი ბიუროს თანამშრომელი ა. ს., რომელმაც დაადასტურა, რომ პოსტი გამოაქვეყნა თავად, ც. ბ.-ის „ფეისბუქ“ გვერდიდან და აღნიშნულ ფაქტზე ადვოკატმა უსაყვედურა კიდეც. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ლ. ჭ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა 2022 წლის 13 აპრილის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, სადაც მითითებულია, რომ დგინდება, ადვოკატ ც. ბ.-ის „ფეისბუქ“ გვერდზე სადავო პოსტის გამოქვეყნების ფაქტი, თუმცა საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ პოსტი გამოქვეყნებულია უშუალოდ ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულებები, რაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებდა ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ სადავო პოსტის გამოქვეყნების ფაქტს. შესაბამისად, მხოლოდ საჩივრის ავტორის პოზიციის საფუძველზე განხილვის კოლეგია დადგენილად ვერ მიიჩნევს სადავო პოსტის უშუალოდ ც. ბ.-ის მიერ გამოქვეყნების ფაქტს, თუმცა დგინდება, რომ სადავო პოსტი გამოქვეყნებულია ადვოკატ ც. ბ.-ის პირად „ფეისბუქ“ გვერდზე - „ციცი ბაბუნაშვილი“, პოსტი არის უარყოფითი კონტექსტის, რომელსაც თან ახლავს შეურაცხმყოფელი და უხამსი კომენტარები. ამასთან, პოსტის ავტორი ადვოკატ ც. ბ.-ის „ფეისბუქ“ გვერდიდან ეხმიანება და პასუხობს კომენტარების ავტორებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- *ნოტარიუს ი. ქ.-ი.-ის მიერ წარმოდგენილი სქრინები;*
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის დადგენილება (საქმე N---);
- 2022 წლის 17 იანვრის ფაქტების კონსტატაციის ოქმი.

## 5. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა განმარტებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები და ადგენს, რომ ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველო კანონი, მუხლი 3 (დ); 5 (გ) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 11.1 მუხლი.

## 6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლისას, ერთმნიშვნელოვნად არ დადგინდა ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ სადავო პოსტის გამოქვეყნების ფაქტი, თუმცა, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის

მასალებით (მხარეთა და მოწმეთა ახსნა-განმარტებებით) დადასტურდა, რომ ადვოკატი ც. ბ. ფლობდა ინფორმაციას, რომ მისი სახელით, მისი კუთვნილი ფეისბუქ გვერდიდან გამოქვეყნდა სადავო პოსტი, რომელსაც თან ახლდა ნოტარიუსის მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები და პოსტის ავტორი ადვოკატის სახელით კომუნიცირებდა კომენტარების ავტორებთან. ადვოკატმა ც. ბ.-მა ხელი არ შეუშალა თანამშრომელს მისი სახელით სარგებლობაში; არ მოუწოდა კომენტარების ავტორებს შეეწყვიტათ შეურაცხმყოფელი შეფასებების წერა და დაუყოვნებლივ არ წაშალა პოსტი, რომელიც შეიცავდა უხამსი ფორმით გადმოცემულ კომენტარებს. შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები; და არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა, ბ, გ)).

ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 11.1).

6.2 კანონმდებლობა ცაკლე პრინციპებად გამოყოფს ადვოკატის კეთილსინდისიერებას, კარგ რეპუტაციას, იურიდიული პროფესიის პატივისცემასა და ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3 (დ, ლ)), რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობაზე თვითრეგულირებად პროფესიაში.

6.3 ადვოკატს აქვს პასუხისმგებლობა არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, მართლმსაჯულების, საზოგადოებისა და პროფესიის წინაშე, რომელიც მართლმსაჯულების სისტემაში მისი უმნიშვნელოვანესი როლიდან გამომდინარეობს.

6.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის (ეთიკის კოდექსი, პრეამბულა). სწორედ ამ ძირითად მიზანს უნდა ემსახურებოდეს ამ პროფესიის ყველა წევრი „ადვოკატის“ სტატუსით სარგებლობისას.

6.5 ეთიკის კომისია, აქვე განმარტავს, რომ მართალია ადვოკატს, ისევე როგორც ნებისმიერ პირს, აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლება, თუმცა ეს უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და შესაძლებელია შეიზღუდოს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც აზრი გადმოცემულია უხამსი ფორმით და მხოლოდ პიროვნების დისკრედიტაციას ემსახურება. ამასთან, გასათვალისწინებელია ადვოკატის როლიც მართლმსაჯულების, საზოგადოებისა და პროფესიის წინაშე, რომელიც ჩვეულებრივი მოქალაქისაგან განსხვავებით, უფრო შეზღუდულ ფარგლებში აქცევს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებას.

6.6 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალური ნორმები მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე,

პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, №დს-შ/5-15).

6.7 „პირს, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სტატუსი ბოჭავს იმ პროფესიული სტანდარტით, რომელიც მას ეკისრება, როგორც არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, როგორც პროფესიის წარმომადგენელს. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ პროფესიისადმი საზოგადოების მხრიდან პატივისცემასა და სანდოობის მოპოვებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“ 8.01.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N002/14).

6.8 „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს“ (ეთიკის კომისიის 24.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №075/10).

6.9 „ადვოკატთა ასოციაციის წევრობა _ ადვოკატის, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სტატუსი, გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატთა ერთიან სიაში რიცხული მოქმედი ადვოკატები, რომელთაც არ აქვთ წევრობა შეჩერებული, ექვემდებარებიან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებებს; სწორედ ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ მაღალ მიზანს - თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის. ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები გამოიყენება ადვოკატის როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის შემთხვევაში. ზოგადად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, თუმცა, პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ ადვოკატი მისი სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკა, რაც მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას, შესაბამისად, ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და კორპორაციულ ავტორიტეტზე“ (ეთიკის კომისიის 8.01.2015 წლის წერილობითი რეკომენდაცია N012/14).

6.10 მხარეები არ ხდიან სადავოდ ფაქტს, იმის შესახებ, რომ 2021 წლის 27 ნოემბერს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მოხმარებლის სახელით „ციცი ბაბუნაშვილი“ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის ტექსტი: *„ფსიქიატრს ვეძებ ნოტარიუს ი. ქ.-სთვის, მირჩიეთ მეგობრებო კარგი ფსიქიატრი ...#ნოტარიუსთა პალატა“.* ადვოკატი ადასტურებს, რომ დასახელებული „ფეისბუქ“ პროფილი ეკუთვნის მას, თუმცა უთითებს, რომ ეს პოსტი მისმა თანამშრომელმა განათავსა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, ადვოკატმა თავად განათავსა ეს პოსტი, თუ მისმა თანამშრომელმა ადვოკატის

სახელით, ადვოკატზე მაინც ვრცელდება პროფესიული პასუხისმგებლობა, რადგან სტატუსი განთავსდა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ადვოკატის პირად გვერდზე, რომლის კეთილსინდისიერი მართვა ადვოკატის პირადი პასუხისმგებლობაა. ამასთან, ადვოკატის პირად გვერდზე გამოხატული მოსაზრება, ობიექტური დამკვირდვებლის თვალში, ყოველთვის ჩაითვლება ადვოკატის მიერ გამოხატულ მოსაზრებად, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. კომისიის შეფასებით, სწორედ იმიტომ აქვს ყველა მომხმარებელს ინდივიდუალური სახელი და პაროლი, რომ თავად ისარგებლოს ამ გვერდით და თავად იყოს პასუხისმგებელი იმ განცხადებებისთვის, რაც მის გვერდზე განთავსდება სტატუსებისა თუ კომენტარების (მოწონებებისა და სხვადასხვა ემოციების) სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სოციალური გვერდი „გატეხილია“ ან მასზე წვდომა დაკარგული აქვს ადვოკატს. ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სოციალურ ქსელში ადვოკატის პირადი გვერდი „გატეხილია“ და/ან მასზე ადვოკატს წვდომა აქვს დაკარგული, გადადის ადვოკატზე.

6.11 განხილვის კოლეგიისათვის საყურადღებოა, რომ ადვოკატ ც. ბ.-ის კუთვნილ „ფეისბუქ“ გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი, რომელიც სოციალურ ქსელში საჯარო სტატუსით იყო განთავსებული დაახლოებით სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული პოსტი ატარებდა ცინიკურ, დამამცირებელ პათოსს და მიმართული იყო ნოტარიუს ი. ქ.-ის მიმართ. სადავო პოსტზე დაწერილი კომენტარები იყო უხამსი, უწმაწური და ღირსების შემლახავი. პოსტის ავტორი კომენტარების ავტორებს ესაუბრებოდა ადვოკატ ც. ბ.-ის სახლით და კომენტარების ავტორებისათვის აღიქმებოდა, როგორც ადვოკატი ც. ბ.. განხილვის კოლეგიის მიერ საქმის შესწავლისას ვერ დადგინდა, რომ პოსტის ავტორი იყო უშუალოდ ადვოკატი, თუმცა მოწმე ა. ს.-ის განმარტებისა და საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ ადვოკატ ც. ბ.-ისათვის ცნობილი იყო პოსტის არსებობის თაობაზე, მათ შორის ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრიდან, მიუხედავად ამისა, პოსტი სოციალური ქსელიდან არ წაშლილა და სოციალურ ქსელში განთავსებული იყო დაახლოებით 3 თვის განმავლობაში მაინც. (სოციალურ ქსელში პოსტის გამოქვეყნების თარიღი - 27.11.2022 წელი; სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში საჩივრის რეგისტრაციის თარიღი - 02.12.2021; აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატაციის ოქმის შედგენის თარიღი - 17.01.2022). მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ც. ბ. სადავო პოსტის შესახებ ინფორმაციას ფლობდა, როგორც მოწმე ა. ს.-ისაგან, ისე ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრისა და მასალების გაცნობის შემდეგ, მან არ შეასრულა ვალდებულება დაუყოვნებლივ აღეკვეთა მისი სახელით მოსარგებლე პირის ქცევა და წაეშალა პოსტი. ამასთან, ც. ბ.-ს სოციალურ ქსელში არ გაუვრცელებია ინფორმაცია, რომ ის არ წარმოადგენდა სადავო პოსტის ავტორს; არ წაუშლია პოსტი/არ მოუწოდებია სოციალური ქსელის მომხმარებლებისათვის შეეწყვიტათ პოსტზე შეურაცხმყოფელი კომენტარების წერა. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ ც. ბ.-ის წარმომადგენლის - ლ. ჭ.-ის მიერ წარმოდგენილ „სქრინებზე“, სადაც მითითებულია, რომ „ფეისბუქ“ მომხარებელი ა. ს. სადავო პოსტის ქვეშ, კომენტარის სახით უთითებს, რომ ის არის სადავო პოსტის ავტორი, თუმცა იმავე მომხმარებლის მიერ დაწერილი, განსხვავებული შინაარსის კომენტარი ფიქსირდება საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ფაქტების კონსტატაციის ოქმში. განხილვის კოლეგია დამატებით განმარტავს, რომ ა. ს.-ის მიერ სადავო ქმედების აღიარების შემთხვევაშიც კი, ადვოკატს ეკისრებოდა ვალდებულება დაუყოვნებლივ წაეშალა პოსტი და პირადად, საჯაროდ

ეცნობებინა კომენტარების ავტორებისათვის, რომ მისი სახელის გამოყენებით სხვა პიროვნება უკავშირდებოდათ და პასუხობდათ, რაც ადვოკატ ც. ბ.-ს არ გაუკეთებია. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს ეკისრებოდა ვალდებულება ყველა გონივრული ზომა მიეღო საკუთარი პროფესიული რეპუტაციის დასაცავად, ვინაიდან ადვოკატი წარმოადგენს საზოგადოებრივ ოფიცერს, რომელსაც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია როგორც კონკრეტული კლიენტის წინაშე, ასევე საზოგადოების, მართლმსაჯულებისა და ადვოკატის პროფესიის წინაშე. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა საკუთარი ქმედებით განამტკიცოს საზოგადოების რწმენა ადვოკატის პროფესიის მიმართ, იზრუნოს საკუთარ რეპუტაციაზე და ჩრდილი არ მიაყენოს ადვოკატთა კორპუსს.

6.12 საქმის მასალების შესწავლისას, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ვერ დადგინდა, რომ გადაწყვეტილების 4.1.3 და 4.1.4 პუნქტებში მითითებული სადავო პოსტისა და კომენტარების ავტორია უშუალოდ ადვოკატი ც. ბ., თუმცა საქმისწარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ პოსტი, შეურაცხმყოფელი კომენტარებით, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ადვოკატის კუთვნილ პირად გვერდზე განთავსდა, რომლითაც ადვოკატი დღემდე სარგებლობს. ადვოკატმა საკუთარი უმოქმედობით ხელი არ შეუშალა თანამშრომელს ადვოკატის სახელით სარგებლობაში, რის გამოც როგორც საჩივრის ავტორის, ისე სოციალური ქსელის მომხმარებლების მიერ ის აღქმული იყო, როგორც სადავო პოსტისა და ზოგიერთი კომენტარის ავტორი. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებით ჩრდილი მიადგა არა მხოლოდ მის პირად, როგორც ერთი კონკრეტული ადვოკატის რეპუტაციას, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსის პრესტიჟსა და იმიჯს, რამაც საფრთხე შეუქმნა ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხსა და დამოკიდებულებას. კომისიის შეფასებით, ადვოკატ ც. ბ.-ის ქმედება ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტებს, ვინაიდან მას ეკისრებოდა ვალდებულება სოციალურ ქსელში კეთილსინდისიერად ემართა მისი პირადი გვერდი, აქტიური ქმედებით შეეშალა ხელი თანამშრომლისათვის მისი სახელითა და მისი კუთვნილი სოციალური ქსელით სარგებლობასა და კომენტარების ავტორებთან ადვოკატის სტატუსით კომუნიკაციაში.

6.13 კომისიის შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, არ დადასტურდა თავად ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ სოციალურ ქსელში სადავო პოსტისა და კომენტარების გამოქვეყნების ფაქტი, თუმცა დადგინდა, რომ პოსტი და შეურაცხმყოფელი კომენტარები ადვოკატ ც. ბ.-ის პირად გვერდზე, მისი სახელით განთავსდა, ადვოკატმა ხელი არ შეუშალა თანამშრომელს მისი კუთვნილი სოციალური ქსელითა და ადვოკატის სახელით სარგებლობაში, რა დროსაც ადვოკატის თანამშრომელი აღიქმებოდა, როგორც შეურაცხმყოფელი პოსტის ავტორი ადვოკატი, რომელიც იწონებდა პოსტზე დაწერილ შეურაცხმყოფელ კომენტარებს და კომუნიკაციას ამყარებდა კომენტარების ავტორებთან ადვოკატის სახელით. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი ც. ბ. პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მისი სახელით ახორციელებდა ქმედებას და ყველა გონივრული ზომა უნდა მიეღო იმისათვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.

6.14 განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის მიერ დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3(დ); 5(გ) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 11.1 მუხლით დადგენილი ქცევის სტანდარტები.

6.15 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

6.16 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.17 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22.05.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

6.18 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 01.04.2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15)

6.19 ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის ხასიათს, ზიანს, ფაქტს, რომ დისციპლინური საქმისწარმოებისას არ დადგინდა სადავო პოსტისა და კომენტარების უშუალოდ ადვოკატ ც. ბ.-ის მიერ გამოქვეყნების ფაქტი; ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

6.20 განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა სახდელს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.21 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე 087/21 ადვოკატ ც. ბ.-ის /სიითი N/ მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/